ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 270

ქ. სამტრედია 12 დეკემბერი 2014 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი–საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს ფეხბურთის განვითარების 2015 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი–საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს ფეხბურთის განვითარების 2015 წლის პროგრამა, რომლის მიზანია სამტრედიაში ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში კლუბის წარმატებით ასპარეზობის უზრუნველყოფა, ჭაბუკთა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარება, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის სრულყოფა, მომავალი თაობის ფეხბურთში მოზიდვის ხელის შეწყობა ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი–საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს ფეხბურთის განვითარების 2015 წლის პროგრამა (დანართი №1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი–საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს ფეხბურთის განვითარების 2015 წლის შემოსავალი (დანართი №2)

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი–საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს ფეხბურთის განვითარების 2015 წლის პროგრამის განხორციელების ხარჯები (დანართი №3 , №4 და დანართი №5).

5. განკარგულება ძალში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **ნუგზარ ჯამბურია**

დანართი №1

2015 წელი

ა.ა.ი.პ. „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს განვითარების პროგრამა

მიზანი

სამტრედიაში ფეხბურთის გაჯანსაღება და გაუმჯობესება და მომავალი თაობის ჯანმრთელობისა და სწორი მიმართულებით განვითარების ხელის შეწყობა.

მოცემულ ეტაპზე პროგრამის რეალიზაციის აუცილებლობის დასაბუთება

მოცემულ ეტაპზე პროგრამის რეალიზაცია აუცილებელია სამტრედიის ფეხბურთის სწორი მიმართულებით განვითარებისათვის და მომავალი თაობის აღსაზრდელად, ქართული ფეხბურთისათვის საფეხბურთო კრიზისის აღმოსაფხვრელად საქართველოში, აუცილებლი კლუბის, როგორც ერთ-ერთი სუბიექტი ქალაქ სამტრედიაში ფეხბურთი და გამოავლინოს ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც გამოადგება საქართველოს ფეხბურთს, მის შემდგომ განვითარებას და ასახელებს რაიონს და კლუბ „სამტრედია"-ს.
მეორეს მხრივ, ეკონომიკურ განვითარებას მოუტანს საკუთარ კლუბს და გაიტანს რესპუბლიკის გარეთ საქართველოს, კერძოდ კი სამტრედიის საფეხბურთო კლუბის სახელს, რაც ინტერესს გაუჩენს ინვესტორს ქართულ ფეხბურთში ინვესტიციის ჩადებისა, რაც მთლიანად გამოადგება ქართულ ფეხბურთს სწორი მიმართულებით განვითარებისათვის.
ა.ა.ი.პ. „ კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია" წარმოადგენს არასამეწარმეო იურიდიულ პირს და საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით მოქმედი კანონმდებლობით და შესაბამისი წესდების მიხედვით.

პროგრამის ღონისძიებანი

1. ახალგაზრდა თაობაში იმ ფეხბურეთელების ამორჩევას, რომლებიც წაადგება ქართულ ფეხბურთს და კლუბ „სამტრედია"-ს.
2. საფებურთო კულბთან არსებული სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ჩამოყალიბება და მათი განვითარება და აღზრდა სწორი მიმართულებით.
3. სამტრედიის, როგორც საკვანძო ქალაქის მიმდებარე რაიონების მოცვა და გამოვლენა ფეხბურთელებისა, რომლებსაც პერსეპქტივა ექნებათ ჯერ კლუბ „სამტრედია"-ში საკუთარი ძალების მოსინჯვისა და შემდგომ სხვა კლუბებში წარდგებიან კლუბის სახელით.
4. შემოდგომაზე სკოლებს შორის ტურნირის მოწყობა და გამოვლენა პერსპექტიული მომავალი თაობისა და მათ შორის საუკეთესოების დაკავება კლუბში.
5. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მოასპარეზე მომავალი თაობიდან თითო ასაკობრივი ჯგუფიდან თითო საუკეთესოს გამოვლენა და წახალისება, რაც უფრო მეტ სტიმულს

მისცემს დანარჩენებს და შექმნის საფეხბურთო კონკურენციას ბავშვებში და არა მშობლებში.

6. პროგრამის მსვლელობის პერიოდში ქუჩას მოწყვეტილი იქნება მომავალი თაობა და ისინი აღიზრდებიან ჯანმრთელი და სულიერად ძლიერ სპორტსმენებად, რომლებიც გამოადგებიან საზოგადოებას და ფეხბურთს.

7. კავშირის ქონება იქმნება შემოწირულობით, გრანტებით, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობით და კანონით აუკრძალავი სხვა საშუალებებით, ხოლო მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი ქონება გადაეცემა მსგავსი მიზნების მქონე ასოციაციას ან რაიონის თვითმმართველობას, ამ მიზნით კლუბის დამფუძნებლების მიერ ინტენსიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვდასხვა ორგანიზაციებთან, რომლის ხარჯვითი ნაწილი კონტროლდება დამფუძნებლების საერთო კრების მიერ, კავშირი აპირებს მოძიებული თანხებით შექმნას დამხმარე მეურნეობა, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ასოციაციის ეკონომიკურ მდგომარეობას და შეამცირებს სუბსიდიის რაოდენობას ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის ეფექტური განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება:

1. დაინტერესება კლუბ „სამტრედია"-ს მიმართ ინვესტორისა, რომელიც დააბანდებს კაპიტალს ფეხბურთში და მის განვითარებაში კულბის სასარგებლოდ.

2. მომავალი თაობის შერჩევით გამოვლენილი იქნებიან ფეხბურთელები, რომლებიც მოუტანენ ფინანსურ გაძლიერებას კლუბ „სამტრედია"-ს და ასახელებს რაიონის სახელს.

3. პროგრამის ეფექტური განხორცილებეის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდის საკუთარი ძალისხმევით წარმატებით გამოვიდეს უმაღლეს ლიგაში და დაიკავოს საპრიზო ადგილები ეროვნულ ჩემპიონატში, რაც საშუალებას მისცემს კლუბ „სამტრედია"-ს ფეხბურთის ფედერაციიდან და UEFA-დან გამოყოფილი თანხით უფრო გააძლიეროს კლუბთან არსებული ბავშვთა საფეხბურთო სკოლები, რომლებთაც მეტი პერსპექტივა მიეცემათ.

4. ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში მოასპარეზე ფეხბურთლებით შეივსება ძირითადი გუნდი და კლუბს არ მოუხდება ლეგიონერების მოწვევა, რაც ერთიორად დაზოგავს კლუბის თანხებს, გააძლიერებს მას ეკონომიურად და განავითარებს.

პროგრამის ბიუჯეტი

საფეხბურთო კლუბი „სამტრედია"-ს ასპარეზობას უმაღლეს ლიგაში მისი დაფინანსების რესურსების ზრდა უნდა მოჰყვეს. ა.ა.ი.პ. „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია" მუნციიპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს წარმოუდგენს წინამდებარე განვითარების პროგრამას და მის ბიუჯეტს 2015 წლის 01.01 დან 30.06 -ჩათვლით, რაც შეადგენს 500 000ლარს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **ნუგზარ ჯამბურია**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი–საფეხბურთო კლუბი სამტრედია”-ს 2015 წლის ბიუჯეტი (01.01-30.06)

შემოსავლების დასახელება	**თანხა**
სუბსიდია ბიუჯეტიდან	**500000**
სულ შემოსავალი	500000

დანართი №3

ა.ა.ი.პ. „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია”-ს ფეხბურთის განვითარების 2015 წლის (01.01-30.06) პროგრამის განხორციელების ხარჯი

№	**დასახელება**	**სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტით**
1	ადმინისტ. მწვრთნელის პერსო., ფეხბ. შრომის ანაზღაურება	360000
2	საპრემიო ფონდი	49600
3	მივლინების ხარჯი	25000
4	კვების ხარჯი	50000
5	სამედიცინო ხარჯი (მედიკამნეტის შეძენა)	4900
6	სამედიცინო შემოწმება	4900
7	ტრანსპორტის ხარჯი მ.შ. საწვავ-საპოხი მასალების შეძენის თანხა	4800
8	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	800
ა	საჯარ. სანქცია	500
ბ	ბანკის მომსახურეობა	300
	ჯამი	**50000**

დანართი №4

ა.ა.ი.პ. „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია”-ს ადმინისტრაციის, მწვრთნელებისა და პერსონალის 2015 წლის სახელფასო ფონდი

№	თანამდებობა	რაოდენობა	თითოეული სახელფასო განაკვეთი	ჯამში 1 თვის ხელფასი	ექვსი თვის სახელფასო განაკვეთი
1	პრეზიდენტი	1	1875	1875	11250
2	მმართველი დირექტორი	1	ანაზღაურების გარეშე		
3	სპორტული დირექტორი	1	875	875	5250
4	მთავარი მწვრთნელი	1	3625	3625	21750
5	მწვრთნელი	8	625	5000	30000
6	ექიმი	1	625	625	3750
7	ფიზეოტერაპევტი	1	625	625	3750
8	ადმინისტრატორი	2	625	1250	7500
9	უსაფრთხოების ოფიცერი	1	150	150	900
10	მედია ოფიცერი	1	190	190	1140
11	ფინანსისტი	1	225	225	1350
12	ბუღალტერი	1	625	625	3750
13	კლუბის მდივანი	1	375	375	2250
14	მძღოლი	2	625	1250	7500
15	ტრანსფერების მენეჯერი	1	875	875	5250
16	ლიცენზირების მენეჯერი	1	375	375	2250
	ჯამი:	25		17940	107640

დანართი №5

ა.ა.ი.პ. „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია”-ს ადმინისტრაციის, მწვრთნელებისა და პერსონალის 2015 წლის (01.01-30.06) სახელფასო და საპრემიო ფონდი

№	თანამდებობა	რაოდენობა	ფეხბურთელების სახელფასო განაკვეთი	ექვსი თვის სახელფასო განაკვეთი
1	ფეხბურთელი	27	42060	252360

2015 წლის საპრემიო თანხა გასვლითი თამაშის მოებაზე				
№	თანამდებობა	რაოდენობა	საპრემიო ფონდი	
1	მთ.მწვრთნელი100%	1	625	**625**
2	მწვრთნელი50%	3	185	**555**
3	ფეხბურთელი100%	11	625	**6875**
4	სათადარიგო ფეხბურთელი30%	4	310	**1240**
5	შემცვლელი ფეხბურთელი70%	3	430	**1290**
6	ადმინისტრაცია30%	5	185	**925**
	ჯამი			**11510**

2015 წლის საპრემიო თანხა შინ თამაშის მოგებაზე				
№	თაანამდებობა	რაოდენობა	საპრემიო ფონდი	
1	მთ,მწვრთნელი	1	375	**375**
2	მწვრთნელი50%	3	110	**330**
3	ფეხბურთელი100%	11	375	**4125**
4	სათად.ფეხბურთელი30%	4	185	**740**
5	შემცვლელი ფეხბურთელი70%	3	260	**780**
6	ადმინისტრაცია30%	5	110	**550**
	ჯამი			**6900**

.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **ნუგზარ ჯამბურია**